# მოხსენების სათაური

პეტრე პავლიაშვილი, პავლე პეტრიაშვილი

ინსტიტუტი, უნივერსიტეტი,

ფაკულტეტი, დეპარტამენტი, განყოფილება

ქალაქი

ელ. ფოსტის მისამართი: author@email.addr

აქ დაიწერება თეზისის ტექსტი, რომელიც **არ უნდა აღემატებოდეს A4 ფორმატის ერთ გვერდს**. თეზისი დაწერილი უნდა იყოს **ქართულ ან ინგლისურ** ენაზე. თეზისი (როგორც ინგლისური, ასევე ქართული) უნდა მომზადდეს LaTeX-ფორმატში, თანდართული ნიმუშის შესაბამისად. ვისაც აქვს სურვილი მოამზადოს თეზისი ქართულად, ვურჩევთ **გამოიყენონ პროგრამა TexMaker და პაკეტში შემავალი შაბლონი Abstr_Template_Texmaker.tex**.

გთხოვთ, არ გამოიყენოთ არასტანდარტული დამატებითი სტილის და განმარტებითი ფაილები, აგრეთვე LaTeX -პაკეტები, გარდა იმისა, რაც უკვე წარმოდგენილია სანიმუშო ფაილის პრეამბულაში. გთხოვთ, არ შეცვალოთ ნიმუშში მითითებული ტექსტის და მინდვრის ზომები. გთხოვთ, გაუსვათ ხაზი იმ ავტორის გვარს, რომელმაც უნდა წარმოადგინოს მოხსენება კონფერენციაზე.

თეზისების გამოქვეყნების აუცილებელი წინაპირობაა კონფერენციის შესატანის გადახდა 2011 წლის 30 ივნისამდე. თუ ეს პირობა დაირღვევა, ან თეზისის ფორმატი არ დააკმაყოფილებს ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებს, თეზისი არ გამოქვეყნდება კონფერენციის თეზისების კრებულში.

გთხოვთ, გამოაგზავნოთ თეზისების ფაილები 1 ივნისამდე შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:

Batumi2011@gmail.com

**შენიშვნა:** თეზისის ქართულ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, აუცილებელია **მოხსენების სათაურის, ავტორის (ავტორების) გვარის და სახელის, ორგანიზაციის და განყოფილების (ფაკულტეტის, დეპარტამენტის) სრული დასახელებისა და მისამართის** ინგლისური ვერსიის წარმოდგენაც ცალკე ფაილის სახით; ხოლო თეზისის **ინგლისურ ენაზე** წარმოდგენის შემთხვევაში, აუცილებელია **მოხსენების სათაურის, ავტორის (ავტორების) გვარის და სახელის, ორგანიზაციის და განყოფილების (ფაკულტეტის, დეპარტამენტის) სრული დასახელებისა და მისამართის** ქართული ვერსიის წარმოდგენაც ცალკე ფაილის სახით.